



1978 წ.
№ 8
(6073)
ინაზარი.
ოთხშაბათი
ზანი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1984 წლის
13 აპრილიდან

ტელეტივიზი

კალაშნიკოვი
ალაშვილი
ალაშვილი
ალაშვილი

ახალი ამოცანების
ფინაში

დღეს მოსწავლეები ახალი წლის შემდეგ პირველად მიუსხდებიან მეტროს. როგორ გაატარეს ზამთრის არდადეგები ბავშვებმა, როგორ დაინტერესდნენ, რით იყვნენ დაკავებულნი, ვარჯიში, ფიზიკური წითობა ხომ არ დაივიწყეს? ბუნებრივია, ბავშვების უმრავლესობა მაღალმთიან რაიონებს მიაშურებდა. მართალია, წლებულს თოვლს დიდად არ გაეუხებებინებიათ, მაგრამ დაინტერესებული ახალგაზრდა, მისი მშობელი მაინც მოხაზავდა გამოსავალს და თუ თხილამურებით და ცივით ვერ ისიამოვნებდა, სხვა სახის ვარჯიშებს გამოეძინა, იბრუნდა, ბურთს ითამაშებდა... ამდენად, ჩვენ მათზე, ამ „დასვენებლებზე“ მაინც დაინტერესდებიან არა მხოლოდ მათი მშობლები, არამედ მათი მშობლები და მათი მშობლები.

ამჯერად უფრო სხვა საკითხი გვაქვს — რა მოვლემად იქნება ჩვენ ქალაქად დარჩენილი ბავშვები? იყო, რა თქმა უნდა, ბევრი ღონისძიება, ისეთი, როგორც რომ დაამახორციელა კაცს, ჩატარდა სხვადასხვა ტურნირები, შეჯიბრებები, თუნდაც ტყეებში გამართული რესპუბლიკური პირველადი მინი-ფეხბურთი, თბილისის კალენდრის რაიონის სპორტსკოლაში ჩატარებული ღონისძიებები გაიხსენოთ... მაგრამ ვინაა ყველაფერი ისე მოეწონება, რომ მაქსიმალური უკუგება და სასიკეთო შედეგი მოეცეს? სამწუხაროდ, არა. მაგალითად, თბილისის სპორტკომიტეტის ინიციატივით ქალაქის სპორტულ ბაზებზე — საცურაო ლუბებში, დარბაზებში, სტადიონებზე „დაიკარგა“ უნდა გამართულიყო და ზოგან გამართა კიდევ, მაგრამ, ხშირად — აბორტაჟიანი იყო. მაგალითად, ვაჟის საცურაო აუზში სასპორტული მოვიდა... 3 (?) ბავშვი, ხოლო პოლიტიკური ინსტიტუტის აუზს სულაც არავინ სწევია.

ფიზკულტურისა და სპორტის ზოგიერთ მუშაკს, სამწუხაროდ, დღემდე ვერ შეუგნია, რომ დაბინძვრის განსწორების მხოლოდ ადრეული ასაკიდან, ბავშვიდანვე ეკრება საფუძველი. სწორედ ამიტომ მოგვიწოდა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ — „ყველაფერი ბავშვებს, ყველაფერი ბავშვებისთვის“. და თუ პარტია და მთავრობა ჩვენს მომავალ თაობაზე ამდენს ზრუნავს, ეს ნაკარნახევია ჩვენი საზოგადოების ბოლომდე მზრუნველობის პრინციპებით. ამის შესახებ ხაზგასმით, გამოკვეთით აღინიშნა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრებაზე.

ამოცანები, რომლებიც დღეს წაყენებული აქვს საბჭოთა სკოლას, მეტად მაღალ მოთხოვნებს უყენებს სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებს. „...ჩვენ სულაც არ მოვუწოდებთ სპორტსმენი ახალგაზრდობის აღზრდისთვის, რომ მაინც და მაინც დიდი სპორტისათვის განხილვი ჩემპიონები ზარდონ. როცა მართლ ტალანტების ძიებას არიან ვადაყოლილი, მაშინ ხშირად უყურადღებოდ რჩებათ ხოლმე ახალგაზრდების იურიდიული მასა, რეკორდების გამოდევნება კი ფაქტობრივად ამორებს ფიზიკურ კულტურას ვერცა უფლებულ სპორტისათვის უპერსპექტივო პირებს. საკითხი აქ მხოლოდ ასე უნდა დაისვას: ჩვენ ჩემპიონებიც უნდა ვეძებოთ და ნიჭიერი სპორტული ახალგაზრდობაც ვზარდოთ, მაგრამ ამასთან არ უნდა გამოვვიწყლოთ მთავარი — უნდა აღვზარდოთ ფიზიკურად განმავარცხნივ, განსვლი ახალგაზრდა თაობა“ — ითქვა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე და ეს დებულება უნდა გახდეს ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის მუშაობის ქვაკუთხედი. ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადრე გამატონკებულმა ბავშვებმა ტენდენციამ მივიყვანა მეტად საფალო ფაქტად. კერძოდ, ფრად გავერცელა ისეთი მოვლენა, როგორცაა ჩვენი ბავშვების აღზრდის დაზარალება, ხერხემლის გამრუდება. „...ზოგიერთი მათგანი თვალსა და ხელს შუა იცვლება, ვასუქდება, რაღაც ტლანქი გახდება, მოღუნდება, დასჩქვამა ისეთი დაავადებები, რომლებიც წინათ არ იყო სპეციფიკური ბავშვის ასაკისთვის“...

...ახალი სასწავლო წელი ახალ მოთხოვნებს, ახალ ამოცანებს გვიყენებს, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია ტანჯვის ასპარეზობისთვის აქტიური მზადება — ოქტომბერში უზბეკეთის დელეგაციამ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადში წარმატებით მონაწილეობა. ბუნებრივია, რომ მთელი საუკეთესო ძალები იქ უნდა გაგვზავდნენ. ამ ძალებს კი სათანადო მომზადება უნდა. თუმცა ეს საქმე დიდი ხნის დაწყებული გაქვს, მაგრამ, ახლა, რომ იტყვიან, გადამწყვეტი მომენტი დგება: საბოლოოდ უნდა დავახუსტოთ გუნდების შემადგენლობის ცალკეული სახეობების მიხედვით, საბოლოოდ უნდა შევამოწმოთ თითოეული სპორტსმენის ბრძოლისუნარიანობა, სპორტული ფორმა, გამძლეობა, სასწრაფოდ უნდა აღმოვფხვრათ ის ხარვეზები, რასაც გვშინ ვერ ვაჩვენებდით. ყველა უნდა დავირაზმოთ ამ დიდ ფორტში წარმატებით გამოსვლისთვის — აქ მოპოვებული ქულები ხომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ყულაბაში შედის!

და მაინც, ჩვენს უმთავრეს და უპირველეს ამოცანად მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდა, გაყვება-გაჯანსაღება, სხეულისა და სულის გადამზრება შეადგენს. და მოდით, მეგობრებო, ერთიანი ძალით ვიბრძოლოთ ამ დიდ და საპატიო, მეტად კეთილშობილური ამოცანის გადამწყვეტად!

ქარაქი

მოგება ლაიერის
გარეზე

პაპუასი (ლოტვა), 10 იანვარი (დებუთი, ჩვენი სპეც. კორ.) სსრ კავშირის ვოვონათა და ქაბუკთა ჩემპიონატში, რომლებიც შევიცარიული სისტემით (9 ტური) ტარდება, გუშინ გაიმართა III ტურის შეხვედრები.

ვოვონათა ტურნირში წარმატებით ითამაშეს ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონმა ნ. მელაშვილმა და ქეთავისკმა თ. მესხმა. პირველმა თანამდევრულად წარმართა პოზიციური ბრძოლა ფომენკის (ტაჯიკეთი) წინააღმდეგ და გაიმარჯვა. დრამატულად მიმდინარეობდა მკრტიანი (სომხეთი) — მესხის შეხვედრა. იერიშის პროცესში მესხმა შევლილი ვეტსა და მხედარში ლაიერი შესწირა. მაგრამ მკრტიანმა ვერ გამოიყენა დიდი მატერიალური უპირატესობა, პირიქით, კვლავ მსუბუქი ფიგურების იერიშის ქვეშ მოჰყვა და ლაიერი უკან დაბრუნება მოუხდა. მაგრამ პარტიის გადარჩენა უკვე არ შეეძლო.

ეტლები მოსაგებ ინდოელი ჰქონდა ქ. მელაშვილს მოსკოვულ ბაზირევის წინააღმდეგ. მაგრამ ქეთავანი რემიდენტში შეცდომა და შეხვედრა ყიმიით დამთავრდა.

ამრიგად, სამი ტური შემდეგ ლიდერობენ: სტუპინა (რუსურ) — 3 ქულა, გლაზი (აზერბაიჯანი), შა-

ფრანკია (ლატვია) — 2,5-2,5 და ქ. მელაშვილი — 2.

ქაბუკთა შეჯიბრებაში აღმავლობით ითამაშეს ზ. ახმადიარაშვილი. მისი პარტია ფილორჩუქთან (რუსურ) სტრატეგიულ კვილიში მიმდინარეობდა. ხარისხის შეწირვით თბილისელმა მოქალაქემ პოზიციური უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ მისი რეალიზება მხოლოდ გადადებული პარტიების დამთავრებისას, 68-ე სულაზე შეძლო. მოიგო ი. ეფიმიოვიც, რომელმაც ხანსოვთან (ყაზახეთი) სკანდინავიურ დაცვაში მიღებული ინიციატივა ბოლომდე შეინარჩუნა.

სამი ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ახმადიარაშვილი, უკრაინის ჩემპიონი ანდრიანოვი და ბოტვინიკი (ბელორუსია) — 3-3 ქულა; ეფიმიოვიც 2 ქულა აქვს.

ა. არსუზიანი.

ბინც დაუმთავრებელი
დარჩა

ბელგრადში მიიწურა ვაქთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ბ. სპასიკის (სსრ კავშირი) და ვ. კორჩნის შორის. დადგა გადამწყვეტი შეხვედრების დღეები.

ორშაბათს მეტოქეებმა გაითამაშეს XVII პარტია, რომელშიც სპასიკი შავი ფიგურებით ითამაშობდა. ბრძოლამ მთელ სადამოს (ხუთი საათი) გასტანა და მინც დაუმთავრებელი დარჩა. პარტია გადაიდო 41-ე სულაზე. იგი გუშინ უნდა დამთავრებულიყო. ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 8,5:7,5 კორჩნის სასარგებლოდ. სათანაშო კიდევ სამი პარტია.

ორი ჩემპიონი

ლმა გ. ვარძელაშვილმა მოამზადა, 20 კოლექტივის შორის II ადგილზე. მას მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის რეინიზის საბჭოს ნაერებმა აჯობა.

პირად პირველობაში ჩემპიონები გახდნენ: გ. სუქიაშვილი (48 კგ) და ა. ვაჭაშვილი (52 კგ). 90 კგ წონის გ. შალრაძე III ადგილზე გავიდა.

კვლევები
ნაცნობი
სახელმები

ოქტომბრის დასასრულს უახლოვდება ქვეყნის ფიგურული ციფერაობის სტატისტიკა ასპარეზობა. წლებად სეზონში თავისი პირველი გამოსვლა გამარჯვებით აღნიშნა ერთეულთა სრიულში ქვეყნის ჩემპიონმა მოსკოველმა მ. შიშინაშვილმა — 184,76 (9).

ელენე ავაღმყოფობდა, შეჯიბრებებში არ მონაწილეობდა, მაგრამ ახლა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, სპორტული ფორმის „მწვერვალს“ უახლოვდება.

მოცემულ წყევლებში გაიმარჯვებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა ი. შიშინაშვილი და ა. შინაშვილი.

სურათზე: ი. შიშინაშვილი და ა. შინაშვილი ასპარეზობისას.




ემზადებიან სპარტაკიადისათვის

თბილისის ფალავანთა კლუბში ორ დღეს გრძელდებოდა დელეგაციის პირად-გუნდური ჩემპიონატი კლასიკურ კილობაში ჰაბუთა შორის, რომელშიც „დინამოსის“ ბურვესტნიკის, „ლოკომოტივის“, განათლების განყოფილების, „განათლების“, „სპარტაკის“ 1961-62 და 63 წლებში დაბადებული 110 ჰაბუტი მონაწილეობდა.

რონიო კატეგორიების მიხედვით დელეგაციის ჩემპიონები გახდნენ: რ. გოლშაველი, ს. პაპაშვილი (განათლების განყოფილება), რ. ხარშილაძე („განათლება“), გ. ნუცუბიძე, შ. ხაბულაშვილი (განათლების განყოფილება), ზ. ტყეაძე („სპარტაკი“), ვ. ბიბილოვიძე, ი. ხარებაშვილი (განათლების განყოფილება), კ. მოხეივანი („სპარტაკი“), ი. უტიაშვილი და დ. დავითური (ორივე — „განათლება“). საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონის ტიტული თბილისის განათლების განყოფილების ნაერებმა დასაცურა.

გამარჯვებულებიდან ქილაობის კარგი ცოდნა გამოავლინეს რ. ხარშილაძემ, ზ. ტყეაძემ, გ. ნუცუბიძემ. მოსწავლეთა საგზაფხულო არდადეგების დღეებში ქალაქ მახარაძეში გაიმართება საქართველოს მოსწავლეთა პირად-გუნდური ჩემპიონატი. აქ გამარჯვებული მოქილავებისაგან დაკომპლექტდება რესპუბლიკის ნაერები, რომელიც შეუდგება მზადებას მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადისათვის. ეს შეჯიბრება შემოდგომაზე ტაშქენტი გაიმართება. შ. შინაშვილი.

ეკონომიკური
ზიზიკონიკა



ახალ სეზონში

ფოთის ფიზკულტურულ-სპორტის ათობით სახე დანერგო. ნიჩბოსნებს მუდამ გვერდს უმჯობესებენ მოკრები, ფეხბურთელები, მძლეოსნები, აფრისნები, კალათბურთელები და სხვა სახეობების წარმომადგენლები, რომლებიც სპორტის ანბანს სპორტკოლების, ფიზკულტურის კოლექტივების სექციებში ეუფლებიან და შემდეგ ნაკრებ ტუნდებში მსახურობენ.

ახლა ფოთის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს ერთი საზრუნავი აქვთ: რაც შეიძლება ნაყოფიერად მოემზადონ ჯერ მოსწავლეთა წლიურად რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის, ხოლო შემდეგ საქართველოს სპარტაკიადისთვის, რომელმაც გაისად ნაკრების ის კანდიდატები უნდა დაასახლოს, რომლებსაც სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადში ასპარეზობა მოუწევთ.

ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს თ. ხომერიკს რომ კითხვით, ზოგიერთ სახეობაში დღესვე ჩამოთვლის იმ სპორტსმენებს, რომლებსაც რესპუბლიკის ნაკრები გუნდების ტვირთის წიდა შეუძლიათ.

„ეკონომიკის“ წყალგომარდობის სადგური, სპორტსკოლის დარბაზები, ქალაქის სტადიონი, ჰიდრომელიორაციის ტექნიკის, სკოლების, საწარმო-დაწესებულებების ბაზები მალე გადაიქცევა ფოთის საქალაქო სპარტაკიადის, სპორტსმენებთან. შარშან ასეთი შეხვედრა მოუწყვეს თბილისის „დინამოს“ ყოფილ ფეხბურთელს რევაზ ძიბუაძეს, საერთაშორისო დიდოსტატს თამაზ გიორგაძეს და სხვებს.

კულტურულ ფეიქართა წარმატებები საკუთარი ძალებით კეთილმოწყობილი სპორტულმა ბუნებამ განაპირობებს. ისინი კი აქ საქმობა: ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის კომპლექსური მოედნები, საბტომი ობობები, სარბენი ბილიკები, ოგობი, ორბელი, ბირთვისა და ბაღროს სატყორცხ სექტორები, 25-მეტრიანი ატობი და მცირე ზომის სატყორცხ ატობი...

როცა სამტრედიამი ებრუნდებოდა, „განთავის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ოთარ შარაშენიძემ გვითხრა:

— კულაშის საქსოვი ფაბრიკის სპორტული კოლექტივი რომ უძლიერესია რაიონში, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენს მეთოდისტს თამაზ გოგობერიძეს. იგი თავის საქმის კარგი მცოდნე და ენერგული ჰაბუკია. მუდამ ცდილობს ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვას არა მარტო ფაბრიკის კოლექტივში, არამედ სოფლის ახალგაზრდებშიც.

წლებულ ფაბრიკის ახალგაზრდების წინაშე მეტად მასუსხავები ამოკანები დგას. წლებადელი წინა კომპაგვიზის საიუბილეო წელია და ქალაქილები და ჰაბუკები აქედანვე ცდილობენ ხელდასმუენებულ შეხედნენ მას.

კულაშის (სამტრედიის რაიონი) საქსოვი ფაბრიკა (დირექტორი უ. კეზევაძე), დანერგვის გუბუნით შეგებება. შენობაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო სტენდებმა, რომლებზეც ფაბრიკის სპორტული ცხოვრება აღბეჭდილი. აქ არის სხვადასხვა შეჯიბრებებში მობოვებული სიგელები, ფაბრიკის მოწინავე სპორტსმენთა ფოტოსტენდები, ყოველთვიური სპორტული კედლის გაზეთი „ფეიქარი“, პლაკატები საწარმო ტანვარჯიშზე. საამქროს შესასვლელთან მოუწყვეთათ შალისნობის ღია კუბზე, სადაც შტანგა და საწონები აწყვია.

— მეორე სართულზე ასეთივე ღია კუბზე გვაქვს მაგიდის ჩოგბურთისა და ჰადრაკისთვის, — გვეუბნება ფიზკულტურის მეთოდისტი, პირველთაინიგოსანი მძლეოსანი თამაზ გოგობერიძე, — ისინი სპორტული დარბაზის მაგივრობას გვიწევენ.

საქსოვ საამქროში ცვლის უფროსი ბადრი ტორთაძე დაზგასთან ახალგაზრდა მქსოველს რაღაცას ასწავლიდა.

— ფიზკულტურა როგორ არ გვიყვარს, — გვეუბნება იგი. — ჩვენს საამქროს სპორტულ საამქროსაც უწოდებენ. ცოტა აღგრომ მობრძანებულებავით, ნახავდით, ფეიქრები როგორი ხალისით ასრულებენ საწარმოო ტანვარჯიშს.

როგორც შემდეგ ფიზკულტურის მეთოდისტთან და ფაბრიკის კომპაგვირელთა თავჯავთან, საქართველოს კომპაგვიზის XXXI ყრილობის დელეგატ დარქვან კინწურაშვილთან საუბარში გავრკვე, ფაბრიკის მშრომლებში დიდად პოპულარულია საწარმოო ტანვარჯიში. აქ კარგად ესმით მისი როლი ფიზიკური წიბობისა და შრომისნაყოფიერების ამაღლების საქმეში.

— მისი დანერგვა თავდაპირველად გაგვიჭირდა — გვეუბნება თამაზი. — გოგონები მორცხობდნენ, მაგრამ დარქანისა და კომპაგვირული აქტივის დახმარებით საქმე თანდათან გამოსწორდა, ახლა მუშაობის პროცესში ორჯერ ტარდება ტანვარჯიში: შესვენებამდე ერთი საათით ადრე და შესვენებამდე ორი საათის შემდეგ.

ბის ამხანგელი მასალები — პლაკატები, ფაბრიკის რეკორდებისა და მშდ ნორმატივების ცხრილები. შეთოდისტის კაბინეტი ერთგვარ სპორტულ მუზეუმს წარმოადგენს. აქვეა რადიოკაზანი. საამქროები რადიოფიციერებულთა და ხშირად აქედან გადასცემენ სპორტის ახალ ამბებს.

ფაბრიკაში ხუთსამდე ფიზკულტურელია. მათი უმრავლესობა რვა სექციამა ჩაბმული. ფიზკულტურელები აქ იმალდებენ სპორტულ ისტატობას, რაც მათ წარმატებებს განაპირობებს (ზედზედ სამი წელია ყველა სახეობაში „განთავის“ რაიონის ჩემპიონები არიან). წარმატებით სრულდება თანრიგოსანთა მომზადების გეგმები.

განსაკუთრებით პოპულარულია ტურნიზმი და მშდ კომპლექსი, ხშირად აწყობენ ლაშქრობებს, ზოგჯერ დამისთევიანც. ბოლო ასეთი ლაშქრობა ჩაატარეს მარშრუტით კულაში — წულუკიძე — გორდი — კინჩხა — კულაში. გორდში, დალიანის სასახლის მიდამოებში გამართეს სპორტული შეჯიბრებები, ჩააბარეს მშდ კომპლექსის ნორმატივები.

ფაბრიკაში ხშირად ტარდება შინდასაკოლექტივო ტურნიზმი. კარგ ტრადიციად დამკვიდრდა მუშა-მოსამახურების შეხვედრა გამოჩენილ

როცა ფიზკულტურა უყვარს...

გ. დანელია.
(ჩვენი სპეც. კორ.)
სამტრედიის რაიონი.

ერთი პოეზის
ჭირ-პარკი

სახანარის რაიონის სოფელ კულის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მუშა-მოსამახურებელი ორი ათეული წელია საკუთარი ფეხბურთის მინდორი (ერთ ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი) აქვთ. იგი მდომალე ყვირილას მარცხენა ნაბარზე წისქვილთან, ბონდის მახლობლად მდებარეობს. გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი კარგი მოედანი რაიონის არც ერთ სოფელში არ იყო, ახლა კი...

ამ ხუთთვიურ წლის წინათ მინდორი შემოღობილი და დატული იყო ქიმიკარც ჰქონდა, ბალახი მწვანელ ბიბინებდა. მაგრამ, ისიც თვე-ლსაინი იყო, რომ წვიმის შემდეგ მოედანზე გუბებში დგებოდა, არც იქვე მახლობლად ეზოდან გადმოსული სასმელი თუ ნარცები, გზბინძურებული წყალი აყრიდა გზირს მინდორს.

მოედნის მოუფლელობის შესახებ „ეკონომიკის“ რამდენჯერმე მიუთითებ მაგრამ უშედეგოდ... ამჟამად მოედნის ოთხივე მხარე გამოსვლებულია, სტადიონის ირგვლივ გაჭრილი თხრილიც არ შევლის საქმეს აღარც ერთი კარი ათარაა. დარჩენილი, მინდორზე პირუტყვის ამოვებენ.

ქალღელა ფეხბურთის მინდორი სავალალო მდომარეობაშია. დროა, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ს. იაკობაშვილი ჩაუფიქრდეს ის საქმის და სპორტული სარბელო თუნდაც ისევე მოაწყოს, როგორც ეს ხუთწლის წინათ იყო.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.)
სახანარე.

უკლეს ღიბას უკსინკლას თილისი

საბჭოთა მოქალაქეთა 1978 წლის სპორტული კალენდარი აღსავსეა დიდი შეჯიბრებებით, რომელთაგან „ზოგიერთს თბილისი უმასპინძლებს.

წლეულს მსოფლიო ჩემპიონები ნ. გაფრინდავილი და ა. კარპოვი თავიანთ ტიტულებს დაცვავენ, რისთვისაც უკვე შეუდგნენ მზადებას. ჭადრაკის დედოფალი ამჟამად ისევნებს ლიკანში, სადაც შემდეგ მწვრთნელთან — დიდოსტატ ა. გივსლისთან განაგრძობს მეცადინეობას. ლიკანში თითქმის მთელი დეკემბერი დაყოფა ა. კარპოვმა თავის მწვრთნელ დიდოსტატ ს. ფურმანთან ერთად. შეჯიბრებებზე, რომ ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩში 16 პარტია უნდა გათამაშდეს, ხოლო ვაჟთა ორთაბრძოლა 6 მოგებადმდე გაგრძელდება (ყაბიბები მხედველობაში არ მიიღება).

მსოფლიო ჩემპიონები მონაწილეობას მიიღებენ სხვა შეჯიბრებებშიც, მაგალითად, ნ. გაფრინდავილი მატჩში ითამაშებს ბელგრადის ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც პირველი პრიზი ბევრჯერ მოუპოვებია. ოქტომბერ-ნოემბერში კი ჭადრაკის დედოფალი სსრ კავშირის ნაკრებ გუნდს არგენტინაში ქალთა VII საჭადრაკო ოლიმპიადაზე უთავადაცხადებს. ა. კარპოვი მ. ტალთან ერთად იასპარეზებს ბუგორნოს (იუგოსლავია) საერთაშორისო ტურნირში. მსოფლიო ჩემპიონი მონაწილეობას მიიღებს, აგრეთვე ვაჟთა XXIII საჭადრაკო ოლიმპიადაში.

ორიოდე დღეში ბად-კისინგენში (გერ) სტარტს აიღებს ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი მ. ჩიბურდანიძესა (სსრ კავშირი) და ა. კუშინის (ისრაელი) შორის, რომელშიც ნ. გაფრინდავილის მეტოქე უნდა დაასახელოს.

განსრავულია რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის ჩატარება, მათ შორის ერთი თბილისში მოეწყობა. ეს იქნება საქართველოს ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობს სხვა ქვეყნების ცნობილი დიდოსტატებისა და ოსტატების მონაწილეობაც.

ფიდეს გადაწყვეტილებით ვაჟთა სახონათშორისო ტურნირებში პერსონალურად აღარავის მიიწვევენ, ამიტომ საგრძობლად გაიზარდა ზონალური ტურნირების მნიშვნელობა. საბჭოთა ზონალურს შემდეგ ეტაპში თამაშის ხუთი საგზური დაეთმო. ამ საგზურებისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან ბ. გუ-

ლო, ი. დორფმანი, მ. ტალი, ე. გელერი, ე. ბაგიროვი, თ. რომანიშინი და ე. კუშინი. შეჯიბრება გაიმართება ლელოში 5-28 მაისს. ქალთა ზონალური ტურნირი ფრუნზეში 1-25 დეკემბერს ჩატარდება.

ორ ეტაპად მოეწყობა სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპიონატი. ნახევარფინალის უფლებები მიეცათ საქართველოს, მოსკოვის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის პირველობებს. სხვა რესპუბლიკების წარმომადგენელთათვის ნახევარფინალები კალინინგრადსა და კისლოვოდსკი (3-27 ივლისს) ჩატარდება; ფინალურ ტურნირს უმასპინძლებს კიევი (2-29 ოქტომბერი). მასში პერსონალურად თამაშის უფლება აქვთ ნ. გაფრინდავილს, მ. ჩიბურდანიძეს, ნ. ალექსანდრიასა და ნ. იოსელიანს.


ვაჟთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატი კვლავ სამ ეტაპად მოეწყობა: საკავშირო მასობრივი ტურნირი (დაუგავებლად, 26 ივნისი — 16 ივლისი), პირველი ლიგის ტურნირი (საშხაბადი, 3-30 ოქტომბერი); უმაღლესი ლიგის ტურნირი, რომელიც თბილისში, ჭადრაკის სასახლეში ჩატარდება 1-27 დეკემბერს.

14-25 აპრილს ვორონეჟში შედგება სსრ კავშირის თასის გათამაშება სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებს შორის. თითქმის იმავე დროს (16-27 აპრილი) მოგილიოვი პირველი ლიგის 6 გუნდის სარბიულად გადაიქცევა. საინტერესო შეჯიბრებები მოელოთ ახალგაზრდა მოქალაქეებს. კასტუკასში (ლიტვა) უკვე მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატები გოგონათა და ჭაბუკთა შორის. 24 იანვარს ეკლენიუსში დაიწყება საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა ოსტატთა პირველობა. ჭაბუკთა მსოფლიო პირველობისთვის შესარჩვევი ტურნირი (8 მონაწილე) სტარტს აიღებს სოჭში 8 ივნისიდან.

ტრადიციული „თეთრი ეტლის“ პრიზზე პიონერზაზმეულთა შეჯიბრებას 1-13 ივნისს ჩატარებენ ბელციან მესვეურები. ჭადრაკი მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაშიც შედის. ოქტომბერში ნორჩი მოქალაქეები სასპარტოზოდ ტაშკენტში გაემგზავრებიან.

ამ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების გარდა (რომელთა შესახებ სწერია „64“-ის პირველ ნომერში) ბევრია რესპუბლიკური, საქალაქო, თუ სპორტსაზოგადოებათა შეჯიბრებები, შეხვედრები. ყველაფერი ეს ჭადრაკის გულშემოტიერებს საინტერესო სანახაობას ჰპირდება.

ქალკაპი



თბილისის მოქალაქე ვაჟთა წლევეანდელი პირველობა, რომელიც ამ დღეებში ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს, ორი რაზმით გამოირჩევა: ერთი რაზმი მასში მოქალაქე ქალები — საქართველოს ექს-ჩემპიონები, ოსტატები თამარ ხუვაშვილი და ნინო გურიელი მონაწილეობენ; მეორე, რომ მებრძოლთა შორისაა სახელგანთქმული ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ ყაბიბანი მანუჩარ მაჩაიძე.

სურათზე: ნინო გურიელისა (მარცხნივ) და ფეხბურთის დიდოსტატის (ჭადრაკში პირველთაბრძოლის) მ. მაჩაიძის შეხვედრა. გ. დოღენჯაშვილის ფოტო.



ჩვენს მოძვე რესპუბლიკაში მარხანა ურალმაშის (სვერდლოვსკი) სპორტკლუბის წევრები სპორტის 28 ხახეობაში ვარჯიშობენ, მათგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კალათბურთია. ქარხნის ქალთა გუნდი წარმატებით გამოდგენის ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. საკლესის ფოტო.

ციგურკები

საერთაშორისო შეჯიბრებამ, რომელიც „სამი საციგურკოს ტურნირს“ სახელით არის ცნობილი და რომელშიც სტარტი იწყებულა აილო, 103 სპორტსმენს მოუყარა თავი. ეს საციგურკო რიტუალი ქალთა შორის ყველა დისტანციაზე უპირატესობა საბჭოთა სპორტსმენების მხარეს იყო: 500 მეტრზე რბენა ლ. საღრიკოვამ (43,72) დიდი უპირატესობით მოიგო, II ადგილზე გავიდა ე. კრასნოვა — 44,13, III — ვ. გოლოვენიკა — 44,76. სამაგიეროდ, 1000 მეტრზე გოლოვენიკამ იმარჯვა — 1,30,78. საღრიკოვას (1,31,55), ე. სტეპანსკიამაც აჯობა — 1,31,27, მაგრამ ორი დისტანციის გამში მინჯ საღრიკოვა ლიდერობს, რომელსაც 89,495 ქულა მოუგროვდა.

თხილავუკაეი

ოსლოში გაიმართა მოთხილავუკაეი საერთაშორისო შეჯიბრება „მინოლიტის“ პრიზზე. 18 კომპეტრზე ასპარეზობაში, რომლის ტრასა ნორვეგიის დედაქალაქის ერთ-ერთ პარკში გადიოდა, რუდნელმა ი. ვარანინმა (54,57,0) მეოთხე ადგილი დაიკავა. მას აჯობეს

უცხოეთის ფეხბურთის კმებეი „არსენალის“ იუზილე

ლონდონის პროფესიულ საფეხბურთო კლუბს „არსენალს“ ამ დღეებში იუზილე ჰქონდა; თავისი არსებობის მანძილზე ამ გუნდმა ინგლისის ჩემპიონატებში 2500 მატჩი ჩატარა.

პრუფი საავადმყოფოში

ცნობილია ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა კრუიფმა, რომელიც ახლამ ესპანეთის „ბარსელონაში“ თამაშობს, ერთ-ერთ მატჩში ტრავმა მიიღო (წყენების ჩამტრევა), რის გამოც საავადმყოფოში მოხვდა და გამოაკლდა თავისი გუნდის საბრძოლო შემადგენლობას.

პროფესიონალი მი — გურშუაზიული სპორტის სარკე

ნიუ იორკი. „პროფესიული სპორტი მხოლოდ ნაწილია ჩვენი საზოგადოებისა, რომელსაც რაღაც უნდა დაუკლეს მხოლოდ გამარჯვება სურს“ — აღნიშნა ყოფილი კალათბურთელი, ამჟამად კლუბ „ბაქსის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა უეინ ემბრიმ ქურნალ „სპორტში“ სათაურით — „მფლობელები ლუპავენ თამაშს“ დაბეჭდილ მასალაში.

წერილი ნათლად დასტურებს პროფესიულ კალათბურთისა და სპორტის აშშ-ის პროფესიულ სპორტში გამეფებულ ზეჩემულელებს. „ბევრს ლაპარაკობენ კალათბურთში სიხარბესა და მოტყუებაზე, — აღნიშნავს ემბრი, — მაგრამ ის, რაც სპორტის ამ სახეობაში ხდება — „გამარჯვება რაღაც უნდა დაგდეს“, — არაფრით განსხვავდება იმისგან, რაც ხდება სხვა დიდ ბიზნესში.“

ემბრი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ლიგის წესდება არაფერს ნიშნავს ულმოველი ბიზნესმენებისთვის — გუნდების მფლობელთათვის, რომლებიც თვლიან, რომ თუ გუნდისთვის ფულს გაიღებენ, უფლებები აქვთ იუვენ მწვრთნელებს, გენერალური დირექტორებს და თავიანთ საქციელში მხოლოდ გაუმაძღრობით ხელმძღვანელობენ.“

„ზოგი მფლობელთაგანი საკლავო

მგაქოსლო

ვაჟთა შორის სპრინტერთა მრავალკაციანი გამარჯვებისთვის ბრძოლა საბჭოთა და ჰოლანდიელ სპორტსმენთა შორის გაიშალა. 500 მეტრზე ე. კულიკოვმა იმარჯვა — 39,36 (მომდევნო ოთხი ადგილიც საბჭოთა სპორტსმენებმა დაიკავეს), მაგრამ 1000 მეტრზე უპირატესობა მ. ჰოვარტის (ნიდერლანდები) მხარეს იყო — 1,21,03. კულიკოვმა აქვერად მეხუთე შედეგი აჩვენა და ორი სახეობის გამში იგი (80,795) ჰოვარტს 0,060 ქულით ასწრებს.

სამაგიეროდ, დიდი მრავალკაციანი მონაწილეობა შორის, როგორც 500, ისე 1500 მეტრზე უსწრაფესი აღმოჩნდა ვან ჰელდენი (ნიდერლანდები). ამან მას საშუალება მისცა ორი დისტანციის გამში (81,130) ა. დიტელი (გერ) თითქმის ორი ქულით ჩამოეტოვებინა. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო გ. ტიმოფევი V ადგილზეა.

მასპინძელმა ლ. ვ. გრიქონმა, 20 წლის შედეგით ე. ვასბერგმა და მიწის თანამემამულემ ა. ბეკენმა.

გ. ისაევი (იოსქარ-ოლა) მეექვსე იყო. მან შეძლო უკან ჩამოეტოვებინა ნორვეგიელი ოლიმპიური ჩემპიონი ი. ფორმუ (VIII ადგილი), მსოფლიო ჩემპიონი შვედი თ. მაგნუსონი (IX) და ცნობილი ფინელი ი. მიეტო.

ხალკუტი

სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებ გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის წარმომადგენლებს დასწრით დასწრით ნიაში გაიმართება, საერთაშორისო შეხვედრებს მართავს ესპანეთის ქალაქ კორუნიასი, აქ მათ გარდა ძალებს სცლიან, აგრეთვე, რუმინეთის, საფრანგეთის, იაპონიისა და მასპინძელთა კოლექტივები. საბჭოთა ხელმძღვრელებმა პირველ მატჩი მოუგეს იაპონელებს — 30:16.

ჩოგბურთი

ნიუ იორკში „მელისონ სკეივარდენის“ სარბიულზე გამართულ საერთაშორისო ტურნირის ფინალში ერთმანეთს პირისპირ დადგნენ „მსოფლიოს პირველი ჩოგბურთის“ სახელის ორი მთავარი მასპინძელი, ამერიკელი გ. კონორის დ. შვედი ბ. ბორგი. ამ ორი დიდოსტატის მორიგი შეხვედრა კონორის გამარჯვებით დამთავრდა — 6:4, 1:6, 6:4.

ცურვა

ამერიკის ქალაქ პროვიდენსის სტარტი აიღო მოქალაქეთა საერთაშორისო შეჯიბრებამ, რომელშიც 9 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობენ. ევროპის ჩემპიონმა ლენინგრაძელმა ი. ბოგდანოვამ მისთვის უჩვეულო დისტანციაზე — 100 იარზე ბრასით ასპარეზობაში კარგი შედეგით (1,03, იმარჯვა.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 09-66-14; 09-07-60; რედაქტორის მოადგილე — 09-60-47; მასპინძელი მდივანი — 09-07-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 09-81-71, 09-07-60; მასპინძელი მდივანის — 09-07-55; სპორტის პროპაგანდის — 09-07-62; მისწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 09-07-58; ჭადრაკის — 09-07-28; სამხატვრო — 09-07-52; წერილების — 09-07-54; კორექტორები — 09-07-49; გამოშვება — 09-08-01; ფოტოლაბორატორია — 09-07-58; მემანქანები — 09-07-51.